ეწყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 14

ქ. წყალტუბო 30ოქტომბერი, 2025წელი

2025 წლის 30 ოქტომბერს, 11 საათზე ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომას ესწრებოდა ახალარჩეული საკრებულოს 34 წევრი.

ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე. №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ნიჟარაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი, ა(ა)იპ-ების მმართველები, საკრებულოსა და მერიის საჯარო მოხელეები, პრესისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

სხდომა წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ნიჟარაძემ გახსნა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნა, რომ №58 წყალტუბოს ოლქის სამოქმედო ტერიტორიაზე განკარგულებით შეიქმნა 19 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქი და ასევე მასში შემავალი 57 საარჩევნო უბნის საზღვრები. არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაცია გაიარა 5 პოლიტიკურმა პარტიამ და მერობის 2 -მა კანდიდატმა. არჩევნებისთვის 19 ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში რეგისტრირებული იყო მაჟორიტარი დეპუტატობის 27 კანდიდატი, პროპორციულ საარჩევნო სისტემით წარდგენილი იყო 61 კანდიდატი, საკრებულოს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ასარჩევი მანდატების რაოდენობა იყო 34. ამომრჩეველთა რაოდენობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შეადგენდა 49 043. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 22 595-მა ამომრჩეველმა.

საოლქო საარჩევნო კომისიამ საბოლოო შედეგები 15 ოქტომბერს შეაჯამა. ახალი მოწვევის საკრებულო დაკომპლექტდა 34 წევრით. მათ შორის 15 პროპორციული და 19 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული წარმომადგენლებით. შემაჯამებელი ოქმის თანახმად არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობამ 22 593 შეადგინა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში მანდატები ასე გადანაწილდა: ,,ქართული ოცნება''-14 მანდატი და ,,ძლიერი საქართველო -ლელო''-1 მანდატი, ხოლო მაჟრიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 19-ვე მანდატი ,,ქართულმა ოცნებამ'' მიიღო. თითოეული მანდატი ძალაში შევიდა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებიდან 2 კვირის თავზე, 29 ოქტომბერს.

2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით გენადი ბალანჩივაძე თვითმმართველი თემის არჩეული მერი გახდა. მიღებული ხმებია 19 374.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული არიან:

1.თეიმურაზ ჭეიშვილი
2.კობა გურეშიძე
3.ნესტორ აფხაძე
4.ლატავრა ბენდელიანი
5.ვლადიმერ ხურცია
6.არჩილ ღიბრაძე
7.გიორგი ფაჩუაშვილი
8.თამთა ვარდოსანიძე
9.ავთანდილ მხეიძე
10.ირინე ცაავა
11. შალვა კილაძე
12.ომარ სინაურიძე
13.დიმიტრი ომანაძე
14.რომეო ნიჟარაძე
15.თედო ჭოლაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული არიან:

1.ხათუნა მაღლაკელიძე
2.მამუკა ჩხეტიანი
3. ნოდარ ასათიანი
4. ნიკა მჟავია
5.ჯეირან ომანაძე
6. ლევან ჩანქსელიანი
7. მალხაზ მანაგაძე
8. ვაჟა ჟორჟოლიანი
9. სერგო კირკიტაძე
10.ნინო ჭეიშვილი
11.გია ხურცია
12.რევაზ მარგველაშვილი
13. რევაზ დიდავა
14.გრიგოლ მაღლაფერიძე
15.ნაილი ჭოლაძე
16.ალექსანდრე ნიქაბაძე
17.გელა ბაჯაძე
18.ოთარ სულაშვილი
19. ნუგზარ ქუთათელაძე

პირველი სხდომა კანონმდებლობის შესაბამისად წარმართა უხუცესმა წევრმა ჯეირან ომანაძემ, რომელსაც გიორგი ნიჟარაძემ არჩევნების შედეგების დოკუმენტაცია გადასცა.

საკრებულოს უხუცესმა წევრმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

1. სამანდატო დროებითი კომისიის არჩევა;
/საკრებულოს უხუცესი წევრი/

2. ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა;
/საკრებულოს უხუცესი წევრი/

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
/საკრებულოს უხუცესი წევრი/

4. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ;
/საკრებულოს თავმჯდომარე/

5. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

/საკრებულოს თავმჯდომარე/

6. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;
/საკრებულოს თავმჯდომარე/

7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიის დამტკიცების შესახებ;
/საკრებულოს თავმჯდომარე, აპარატის უფროსი/

8. საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების შესახებ;.
/საკრებულოს თავმჯდომარე, სამანდატო კომისიი თავმჯდომარე/

9. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ;
/საკრებულოს თავმჯდომარე,აპარატის უფროსი/

10. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;
/საკრებულოს თავმჯდომარე,აპარატის უფროსი/

11. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;

/საკრებულოს თავმჯდომარე, აპარატის უფროსი/

12. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;

/საკრებულოს თავმჯდომარე, აპარატის უფროსი/

13. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;

/საკრებულოს თავმჯდომარე, აპარატის უფროსი/

14. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ ;

/საკრებულოს თავმჯდომარე, აპარატის უფროსი/

15. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

/საკრებულოს თავმჯდომარე/

16. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

/საკრებულოს თავმჯდომარე/

17. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

/საკრებულოს თავმჯდომარე/

18. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

/საკრებულოს თავმჯდომარე/

19. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

/საკრებულოს თავმჯდომარე/

20. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის

დამტკიცების შესახებ“,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/საკრებულოს თავმჯდომარე, აპარატის უფროსი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხრე- 33

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარე გადავიდა საკითხების განხილვაზე.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ დეპუტატებს მიმართა, რომ საკრებულოს წევრებს შეეძლოთ გამოეთქვათ სურვილი და დაესახელებინათ სამანდატო დროებითი კომისიის შემადგენლობა. ნიკა მჟავიამ, ნაილი ჭოლაძემ და ნინო ჭეიშვილმა გამოთქვეს სამანდატო დროებითი კომისიის წევრად ყოფნის სურვილი. ჩატარდა კენჭისყრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ნიკა მჟავიას კანდიდატურა.

მომხრე-32

წინააღმდეგი-0 .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ნაილი ჭოლაძის კანდიდატურა.

მომხრე-32

წინააღმდეგი-0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ნინო ჭეიშვილის კანდიდატურა.

მომხრე-32

წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ძლიერი საქართველო-ლელო''-ს წევრს თედო ჭოლაძეს.

სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, აირჩა სამანდატო დროებითი კომისია, სამი წევრის შემადგენლობით. გამოცხადდა შესვენება.

კომისიის წევრებმა თავისი შემადგენლობიდან აირჩიეს კომისიის თავმჯდომარე-ნიკა მჟავია და მდივანი ნაილი ჭოლაძე.

2. მ ო ი ს მ ი ნ ეს: ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ დეპუტატებს მიმართა, რომ დაესახელებინათ ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის შემადგენლობა. ირინე ცაავამ, ხათუნა მაღლაკელიძემ და თამთა ვარდოსანიძემ გამოთქვეს სურვილი ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრობის. ჩატარდა კენჭისყრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ირინე ცაავას კანდიდატურა.

მომხრე -32

წინააღმდეგი -0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ხათუნა მაღლაკელიძის კანდიდატურა

მომხრე -32

წინააღმდეგი-0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა თამთა ვარდოსანიძის კანდიდატურა

მომხრე -32

წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ძლიერი საქართველო-ლელო''-ს წევრს თედო ჭოლაძეს.

სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით აირჩა დროებითი ხმისდამთვლელი კომისია სამი წევრის შემადგენლობით. გამოცხადდა შესვენება, კომისიის წევრებმა თავისი შემადგენლობიდან აირჩიეს კომისიის თავმჯდომარე ირინე ცაავა და მდივანი ხათუნა მაღლაკელიძე.

სხდომის განახლების შემდეგ

3. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა.

საკრებულოს წევრის კობა გურეშიძის განცხადება: კობა გურეშიძე, ნესტორ აფხაძე და სერგო კირკიტაძე თავმჯდომარის თანამდებობაზე ასახელებენ თეიმურაზ ჭეიშვილის კანდიდატურას.

სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

აზრი გამოთქვეს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ გამოუთქვამთ.

თეიმურაზ ჭეიშვილმა თანხმობა განაცხადა თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა ტარდება ფარული კენჭისყრით.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. რომლის დროსაც ჩატარდა ფარული კენჭისყრის პროცედურა.

სხდომის განახლების შემდეგ ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი.

მომხრე-33

წინააღმდეგი -0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, არჩეული იქნა თეიმურაზ ჭეიშვილი.

თეიმურაზ ჭეიშვილმა საკრებულოს წევრებს ნდობის გამოცხადებისთვის მადლობა გადაუხადა, უსურვა წარმატებული საქმიანობა და გააგრძელა სხდომის თავმჯდომარეობა .

4. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს შესაბამისად, პირველი მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა კობა გურეშიძის კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა ტარდება ფარული კენჭისყრით.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. რომლის დროსაც ჩატარდა ფარული კენჭისყრის პროცესი. არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ,,ძლიერი საქართველო-ლელო''-ს წევრს თედო ჭოლაძეს.

სხდომის განახლების შემდეგ ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ირინე ცაავამ სხდომას გააცნო ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი.

მომხრე-32

წინააღმდეგი -0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეული იქნა კობა გურეშიძე.

5. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს შესაბამისად, მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა ნესტორ აფხაძის კანდიდატურა . სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა ტარდება ფარული კენჭისყრით.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. რომლის დროსაც ჩატარდა ფარული კენჭისყრის პროცესი. სხდომის განახლების შემდეგ ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი.

მომხრე-32

წინააღმდეგი -0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეული იქნა ნესტორ აფხაძე.

6. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს შესაბამისად, მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა სერგო კირკიტაძის კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა ტარდება ფარული კენჭისყრით.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. რომლის დროსაც ჩატარდა ფარული კენჭისყრის პროცესი. სხდომის განახლების შემდეგ ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი.

მომხრე-32

წინააღმდეგი -0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეული იქნა სერგო კირკიტაძე.

7. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიის დამტკიცების შესახებ''.

განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებს გააცნო აპარატის უფროსმა გელა თათარაშვილმა .

აზრი გამოთქვეს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე- 32

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 30-ე მუხლის შესაბამისად :

დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სია შემდეგი შემადგენლობით:

უმრავლესობის ლიდერი- თეიმურაზ ჭეიშვილი,წევრები: კობა გურეშიძე, სერგო კირკიტაძე, ნესტორ აფხაძე, გიორგი ფაჩუაშვილი, ვლადიმერ ხურცია, ნაილი ჭოლაძე, თამთა ვარდოსანიძე, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, ჯეირან ომანაძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, არჩილ ღიბრაძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, ლევან ჩანქსელიანი, ხათუნა მაღლაკელიძე, ავთანდილ მხეიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, რევაზი დიდავა, დიმიტრი ომანაძე, რომეო ნიჟარაძე, ნიკა მჟავია, ნოდარ ასათიანი, მალხაზ მანაგაძე, ვაჟა ჟორჯოლიანი, გია ხურცია, რევაზი მარგველაშვილი, შალვა კილაძე, გელა ბაჯაძე, ოთარ სულაშვილი, ნუგზარ ქუთათელაძე.

8.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომას მოახსენა, რომ ფრაქციების რეგისტრაციის საკითხს განიხილავს სამანდატო დროებითი კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზე მოხდება ფრაქციების დაფუძნება.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ნიკა მჟავიამ სხდომას წარუდგინა კომისიის სხდომის ოქმი და დასკვნა. აღნიშნა, რომ შემოსულია საკრებულოს წევრების განცხადებები 2 ფრაქციის დაფუძნების შესახებ და ორივე აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს მოთხოვნებს. აღნიშნულის წარდგენის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს აცნობა შემდეგი ფრაქციების დაფუძნების შესახებ.

1.ფრაქცია -,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''

2. ფრაქცია ,,ხალხის ძალა''

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე და 38 -ე მუხლების შესაბამისად:

ცნობად იქნეს მიღებული 2025 წლის 30 ოქტომბრიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო'' -ს და ფრაქცია ,,ხალხი ძალა''-ს შექმნა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე-ლატავრა ბენდელიანი,მოადგილეები-გიორგი ფაჩუაშვილი, ვლადიმერ ხურცია, გრიგოლ მაღლაფერიძე, შალვა კილაძე, ნოდარ ასათიანი, ნუგზარ ქუთათელაძე და ნაილი ჭოლაძე.

წევრები: თეიმურაზ ჭეიშვილი, კობა გურეშიძე, სერგო კირკიტაძე, ნესტორ აფხაძე, თამთა ვარდოსანიძე, ჯეირან ომანაძე, არჩილ ღიბრაძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, ავთანდილ მხეიძე,ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, რევაზ დიდავა, რომეო ნიჟარაძე, ნიკა მჟავია, მალხაზ მანაგაძე, ვაჟა ჟორჟოლიანი, გია ხურცია, გელა ბაჯაძე, ოთარ სულაშვილი, ხათუნა მაღლაკელიძე.

ფრაქცია ,,ხალხის ძალა'' შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე-ომარ სინაურიძე, მოადგილე:რევაზ მარგველაშვილი;

წევრი: ლევან ჩანქსელიანი.

9. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პირველ სხდომაზე აუცილებელია განისაზღვროს ფრაქციათა წარმომადგენლების პროპორციულობის კვოტა თითოეულ კომისიაში და დაზუსტდეს კომისიაში წევრთა რაოდენობა. აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა აპარატის უფროსმა გელა თათარაშვილმა.

აზრი გამოთქვეს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე- 32

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის , 24 -ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ. დ'' ქვეპუნქტების, 28-ე და 30-ე, მუხლების შესაბამისად:

მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა მაქსიმალური რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს საკრებულოს 13 წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

ფრაქციები:

ა) ფრაქცია,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-10 წევრი;

ბ)ფრაქცია ,,ხალხის ძალა''-2 წევრი.

საკრებულოს იმ წევრს (წევრებს),რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1(ერთი) კვოტა.

თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სამანდატო დროებითმა კომისიამ მიიღოს საკრებულოს წევრთა განცხადებები კომისიაში გაწევრიანების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.
სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომის განახლების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომას გააცნო სამანდატო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი და განკარგულების პროექტი.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულები პროექტი.
მომხრე- 32
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს : დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა:

რევაზ დიდავა
თამთა ვარდოსანიძე
გიორგი ფაჩუაშვილი
ნიკა მჟავია
ირინე ცაავა
ომარი სინაურიძე
ნოდარი ასათიანი
არჩილ ღიბრაძე
ვაჟა ჟორჟოლიანი
ოთარ სულაშვილი
ნუგზარ ქუთათელაძე
ნესტორ აფხაძე

11. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სამანდატო დროებითმა კომისიამ მიიღოს საკრებულოს წევრთა განცხადებები კომისიაში გაწევრიანების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.
სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომის განახლების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომას გააცნო სამანდატო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი და განკარგულების პროექტი.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულები პროექტი.
მომხრე- 32
წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა:

მამუკა ჩხეტიანი
გრიგოლ მაღლაფერიძე
ლევან ჩანქსელიანი
ვლადიმერ ხურცია
ლატავრა ბენდელიანი
ავთანდილ მხეიძე
ნინო ჭეიშვილი
ალექსანდრე ნიქაბაძე
ოთარ სულაშვილი
გელა ბაჯაძე
რევაზ მარგველაშვილი
ნოდარ ასათიანი

12. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სამანდატო დროებითმა კომისიამ მიიღოს საკრებულოს წევრთა განცხადებები კომისიაში გაწევრიანების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.
სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომის განახლების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომას გააცნო სამანდატო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი და განკარგულების პროექტი.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულები პროექტი.
მომხრე- 32
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს : დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა:

მამუკა ჩხეტიანი
შალვა კილაძე
ნაილი ჭოლაძე
რევაზ დიდავა
სერგო კირკიტაძე
კობა გურეშიძე
ჯეირან ომანაძე
ვლადიმერ ხურცია
ლევან ჩანქსელიანი
რომეო ნიჟარაძე

ლატავრა ბენდელიანი

13. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ".
საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სამანდატო დროებითმა კომისიამ მიიღოს საკრებულოს წევრთა განცხადებები კომისიაში გაწევრიანების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.
სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომის განახლების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომას გააცნო სამანდატო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი და განკარგულების პროექტი.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულები პროექტი.
მომხრე- 32
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა:
ომარ სინაურიძე
შალვა კილაძე
ნაილი ჭოლაძე
გიორგი ფაჩუაშვილი
ნესტორ აფხაძე
ხათუნა მაღლაკელიძე
გია ხურცია
გრიგოლ მაღლაფერიძე
ვაჟა ჟორჟოლიანი
რომეო ნიჟარაძე
მალხაზ მანაგაძე
გელა ბაჯაძე

14. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სამანდატო დროებითმა კომისიამ მიიღოს საკრებულოს წევრთა განცხადებები კომისიაში გაწევრიანების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.
სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომის განახლების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომას გააცნო სამანდატო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი და განკარგულების პროექტი.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულები პროექტი.
მომხრე- 32

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობა:

არჩილ ღიბრაძე
ნიკა მჟავია
ირინე ცაავა
თამთა ვარდოსანიძე
ხათუნა მაღლაკელიძე
გია ხურცია
ნინო ჭეიშვილი
რევაზ მარგველაშვილი
კობა გურეშიძე
ნუგზარ ქუთათელაძე
ალექსანდრე ნიქაბაძე

15. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს ფრაქციას და საკრებულოს წევრთა 1/5-ს.

კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით. შემდეგ მან საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესახელებინათ იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ს'' თავმჯდომარემ ლატავრა ბენდელიანმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა ნიკა მჟავიას კანდიდატურა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. რომლის დროსაც ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

სხდომის განახლების შემდეგ, ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ირინე ცაავამ სხდომას გააცნო ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი.

მომხრე-32

წინააღმდეგი -0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკა მჟავია.

16. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ

ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს ფრაქციას და საკრებულოს წევრთა 1/5-ს.

კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით. შემდეგ მან საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესახელებინათ კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ს'' თავმჯდომარემ ლატავრა ბენდელიანმა კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა ლევან ჩანქსელიანის კანდიდატურა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, რომლის დროსაც ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

სხდომის განახლების შემდეგ, ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ირინე ცაავამ სხდომას გააცნო ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი.

მომხრე-32

წინააღმდეგი -0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ლევან ჩანქსელიანი.

17. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს ფრაქციას და საკრებულოს წევრთა 1/5-ს.

კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით. შემდეგ მან საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესახელებინათ ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ს'' თავმჯდომარემ ლატავრა ბენდელიანმა ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა რევაზ დიდავას კანდიდატურა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, რომლის დროსაც ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

სხდომის განახლების შემდეგ, ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ირინე ცაავამ სხდომას გააცნო ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი.

მომხრე-32

წინააღმდეგი -0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რევაზ დიდავა.

18. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს ფრაქციას და საკრებულოს წევრთა 1/5-ს.

კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით. შემდეგ მან საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესახელებინათ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარემ ლატავრა ბენდელიანმა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა ვაჟა ჟორჟოლიანის კანდიდატურა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. რომლის დროსაც ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

სხდომის განახლების შემდეგ, დროებითი ხმისდამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ირინე ცაავამ სხდომას გააცნო ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი.

მომხრე-32

წინააღმდეგი

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ვაჟა ჟორჟოლიანი.

19. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს ფრაქციას და საკრებულოს წევრთა 1/5-ს.

კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით. შემდეგ მან საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესახელებინათ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარემ ლატავრა ბენდელიანმა დაასახელა არჩილ ღიბრაძის კანდიდატურა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. რომლის დროსაც ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

სხდომის განახლების შემდეგ, დროებითი ხმისდამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ირინე ცაავამ სხდომას გააცნო ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი.

მომხრე-32

წინააღმდეგი -0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა არჩილ ღიბრაძე.

20. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15ივლისის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე', რომელიც საკრებულოს წევრებს გააცნო აპარატის უფროსმა გელა თათარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე- 32

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15ივლისის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე